# საბანკო გარანტიის ხელშეკრულება N PE41989-18 / 11

თბილისი — 05 იანვარი 2018 წელი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

| | | |
|---|---|---|
| 1.1. | **ბანკი**: | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | ს.ს. „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.1.2. | იურიდიული მისამართი: | ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა; |
| 1.1.1.3. | საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: | ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა; |
| 1.1.1.4. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.1.4.1. | სახელი და გვარი: | ეთერ ჩხეიძე |
| 1.1.1.4.2. | თანამდებობა/სტატუსი: | გარანტიების სამსახურის უფროსი |
| 1.1.1.5. | საკონტაქტო მონაცემები: | |
| 1.1.1.5.1. | საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: | მარიამ გოგუა |
| 1.1.1.5.2. | თანამდებობა/სტატუსი: | კორპორატიული ბანკირი |
| 1.1.1.5.3. | ტელეფონი: | +995 (32) 2 444 444 (9236) |
| 1.1.1.5.4. | ფაქსი: | – |
| 1.1.1.5.5. | ელფოსტა: | mariamgogua@bog.ge |
| 1.2. | **კლიენტი**: | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია |
| 1.2.1.1. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 205162802 |
| 1.2.1.2. | იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გოძიაშვილის ქ. 49 |
| 1.2.1.3. | საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გოძიაშვილის ქ. 49 |
| 1.2.1.4. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.1.4.1. | სახელი და გვარი: | ირაკლი გულედანი |
| 1.2.1.4.2. | პირადი ნომერი: | 01022003539 |
| 1.2.1.4.3. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორი |
| 1.2.1.5. | საკონტაქტო მონაცემები: | |
| 1.2.1.5.1. | საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: | ანა გულბანი |
| 1.2.1.5.2. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორის მოადგილე |
| 1.2.1.5.3. | ტელეფონი: | +995 595 222248 |
| 1.2.1.5.4. | ფაქსი: | – |
| 1.2.1.5.5. | ელფოსტა: | – |

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულებით** და მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** დადგენილი (მათ შორის **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების** მე-3 მუხლში და **საგარანტიო ფურცელში** მითითებული) წესებისა და პირობების შესაბამისად, **ბანკი ბენეფიციარის** სასარგებლოდ ამტკიცებს **საბანკო გარანტიას**.

## 3. საბანკო გარანტიის პირობები

| | | |
|---|---|---|
| 3.1. | **საბანკო გარანტიის** აღწერა: | |
| 3.1.1. | **საბანკო გარანტიის** სახეობა: | ხელშეკრულების შესრულების გარანტია |
| 3.1.2. | **საგარანტიო თანხის** ოდენობა: | 19,685 (ცხრამეტი ათას ექვსასოთხმოცდახუთი) ლარი |
| 3.1.3. | **საბანკო გარანტიის** ვადა: | 04 მარტი 2019 წელი; |
| 3.2. | **ბენეფიციარი**: | |
| 3.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ შემოსავლების სამსახური |
| 3.2.2. | საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი: | 204525585 |
| 3.2.3. | იურიდიული მისამართი/საცხოვრებელი მისამართი: | – |
| 3.2.4. | „SWIFT"-ის საიდენტიფიკაციო კოდი: | – |
| 3.3. | **საბოლოო ბენეფიციარი**: | |
| 3.3.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | – |
| 3.3.2. | საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი: | – |
| 3.3.3. | იურიდიული მისამართი/საცხოვრებელი მისამართი: | – |
| 3.3.4. | „SWIFT"-ის საიდენტიფიკაციო კოდი: | – |
| 3.4. | **ავიზირებადი ბანკი**: | |
| 3.4.1. | სახელწოდება (საფირმო): | |
| 3.4.2. | „SWIFT"-ის საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| 3.5. | **საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული გადასახდელები**: | |
| 3.5.1. | **საკომისიო**: | |
| 3.5.1.1. | **საბანკო გარანტიის** გაცემის **საკომისიო**: | 827 (რვაასოცდაშვიდი) ლარი |
| 3.5.1.1.1. | **საბანკო გარანტიის** გაცემის **საკომისიოს** გადახდის პირობები: | გადაიხდება წინსწრებით, არაუგვიანეს **საბანკო გარანტიის** გაცემის თარიღის შესაბამისი რიცხვისა. |
| 3.5.1.2. | **საბანკო გარანტიის** მომსახურების **საკომისიო**: | - |
| 3.5.1.2.1. | **საბანკო გარანტიის** მომსახურების **საკომისიოს** გადახდის პირობები: | - |
| 3.5.1.3. | **საბანკო გარანტიაში** ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის შეტანის **საკომისიო**: | 50 (ორმოცდაათი) ლარი. |
| 3.5.1.3.1. | **საბანკო გარანტიაში** ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის შეტანის **საკომისიოს** გადახდის პირობები: | ყოველი ცვლილების განხორციელებისას. |
| 3.5.1.4. | **საბანკო გარანტიის** რეგისტრაციის **საკომისიო**: | - |
| 3.5.1.4.1. | **საბანკო გარანტიის** რეგისტრაციის **საკომისიოს** გადახდის პირობები: | - |
| 3.5.1.5. | **საბანკო გარანტიის** დამოწმების **საკომისიო**: | – |
| 3.5.1.5.1. | **საბანკო გარანტიის** დამოწმების **საკომისიოს** გადახდის პირობები: | – |
| 3.5.1.6. | **საბანკო გარანტიის** ავიზირების **საკომისიო**: | - |
| 3.5.1.6.1. | **საბანკო გარანტიის** ავიზირების **საკომისიოს** გადახდის პირობები: | - |
| 3.5.1.7. | **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე **საბანკო გარანტიის** სხვა საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ის/ბანკ(ებ)ის ან/და სადაზღვევო კომპანი(ებ)ის მიერ გაცემული გარანტიით ჩანაცვლების საკომისიო და მისი გადახდის პირობები: | ჩანაცვლების მომენტისათვის არსებული **საგარანტიო თანხის** მოცულობის 7 (შვიდი) % |
| 3.5.1.8. | **საბანკო გარანტიის** აღსრულების **საკომისიო**: | იმ შემთხვევაში თუ **საგარანტიო თანხის** აღსრულება მოხდება ეროვნულ ვალუტაში - აღსრულებული **საგარანტიო თანხის** 0.15%–ის ოდენობით, არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ **საგარანტიო თანხის** აღსრულება მოხდება უცხოურ ვალუტაში - აღსრულებული **საგარანტიო თანხის** 0.15%–ის ოდენობით, არანაკლებ 120 (ასოცი) ერთეულისა შესაბამის უცხოურ ვალუტაში. |
| 3.5.1.8.1. | **საბანკო გარანტიის** აღსრულების **საკომისიოს** გადახდის პირობები: | **საბანკო გარანტიის** ყოველი აღსრულებისას. |
| 3.5.1.9. | **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე **საბანკო გარანტიის** გაუქმების **საკომისიო**: | - |
| 3.5.1.9.1. | **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე **საბანკო გარანტიის** გაუქმების **საკომისიოს** გადახდის პირობები: | - |
| 3.5.1.10. | სხვა **საკომისიო** და მისი გადახდის პირობები: | – |
| 3.5.2. | **საპროცენტო სარგებელი**: | |
| 3.5.2.1. | გადახდილ **საგარანტიო თანხაზე** დასარიცხი **საპროცენტო სარგებელი** და მისი გადახდის პირობები: | გადახდილი **საგარანტიო თანხის** წლიური 26 (ოცდაექვსი)%; გადახდა მოხდება ბანკის შეხედულებისამებრ; |
| 3.5.3. | **პირგასამტეხლო**: | |
| 3.5.3.1. | **პირგასამტეხლო კლიენტის** მიერ **საგარანტიო თანხის** დაფარვის ვადის | **საბანკო გარანტიის** ფარგლებში **ბენეფიციარისათვის** ანაზღაურებული თანხის 0.1%-ის |



კლიენტის ხელმოწერა / ი. გულედანი

| | | |
|---|---|---|
| | გადაცილებისათვის და მისი გადახდის პირობები: | ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ ყოველ ჯერზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) ლარისა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. |
| 3.5.3.2. | **პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** განსაზღვრული რომელიმე **საკომისიოს** ან/და **საპროცენტო სარგებლის** გადახდის ვადის გადაცილებისათვის და მისი გადახდის პირობები: | ვადაგადაცილებული საკომისიოს ოდენობით ყოველ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე. გადახდა მოხდება ბანკის შეხედულებისამებრ; |
| 3.6. | **ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის** გადახდის პირობები: | |
| 3.6.1. | **საგარანტიო თანხის** გადახდის მოთხოვნისას, **ბენეფიციარის** მოთხოვნას უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტ(ებ)ი: | განისაზღვრება **საგარანტიო ფურცლის** შესაბამისად. |
| 3.7. | **საგარანტიო თანხის** გადახდისას წარმოშობილი ხარჯების დაფარვაზე პასუხისმგებელი პირი და პასუხისმგებლობის ფარგლები, ხარჯების დაფარვის პირობები: | გადაიხდება **კლიენტის** მიერ სრულად, ბანკის შეხედულებისამებრ; |
| 3.8. | სპეციფიკური პირობები: | -; |
| 3.9. | განსაკუთრებული პირობები: | - |

3.10. გადახდილი **საგარანტიო თანხის კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** ანაზღაურება უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ **საგარანტიო თანხის** გადახდიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;

3.11. **საგარანტიო ფურცლის** გაცემას **ბანკი** განახორციელებს მას შემდეგ, რაც **კლიენტი** უზრუნველყოფს **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

3.12. თუ **ხელშეკრულება** ითვალისწინებს **ბენეფიციარის** მიერ რაიმე სახის **საკომისიოს** ან/და ხარჯის გადახდის ვალდებულებას და ის უარს განუცხადებს **ბანკს** აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** აღნიშნული ვალდებულების შესრულება **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** შესაბამისი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით.

**4. ხელშეკრულების სტანდარტული და დამატებითი პირობები, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები**

4.1. **ხელშეკრულების სტანდარტული პირობები** დადგენილია **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების N1 დანართით**, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: www.bankofgeorgia.ge და წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. **ხელშეკრულების დამატებითი პირობები** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ასახულია **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების N2 დანართში**, რომელიც ასევე წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

4.2. წინამდებარე **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების** ხელმოწერით **კლიენტი** ადასტურებს, რომ:

4.2.1. იგი გაეცნო **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების N1 დანართით** დადგენილ **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** შინაარსს და მიიღო ეს პირობები;

4.2.2. **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების N1 დანართით** დადგენილი **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება;

4.2.3. **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების N1 დანართით** დადგენილი **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** შინაარსი არ ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და შესაბამისად არ არის საზიანო მისთვის.

4.3. **მხარეები** თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ:

4.3.1. წინამდებარე **საბანკო გარანტიის ხელშეკრულება** და **ხელშეკრულების სტანდარტული პირობები** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1**), ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში, ასევე **ხელშეკრულების დამატებითი პირობები** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N2**) წარმოადგენენ ერთ მთლიან შეთანხმებას **მხარეთა** შორის;

4.3.2. წინამდებარე **საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას**, **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებსა** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1**) ან/და **ხელშეკრულების დამატებით პირობებს** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N2**) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება:

4.3.2.1. პირველ რიგში, **ხელშეკრულების დამატებით პირობებს** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N2**) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);

4.3.2.2. შემდეგ წინამდებარე **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების** პირობებს (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1**-ისა და **N2**-ის გარეშე);

4.3.2.3. და ბოლოს, **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1**).

4.4. **ხელშეკრულების** და მასთან **დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარ, **ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**.

**5. პრეტენზიები და დავები**

5.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** (**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1**) შესაბამისად.

5.2. **ხელშეკრულების** ან/და მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.3. მიუხედავად, წინამდებარე **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 5.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში, ხოლო სადავო საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს შ.პ.ს. „დავების განმხილველ ცენტრს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) (შემდგომში – **მუდმივმოქმედი არბიტრაჟი**), ან მის სამართალმემკვიდრეს. საარბიტრაჟო განხილვა მოხდება **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 8.4. პუნქტში** მოცემული დებულებების შესაბამისად.

**6. მხარეთა ხელმოწერები**

ბანკი

/__________________/

კლიენტი

/

**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების**
**დანართი N3 - # PE41989-18-001**

თბილისი 05 იანვარი 2018 წელი;

**1. ხელშეკრულების მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| **1.1.** | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | ს.ს. „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.2. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.3. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.3.1. | სახელი და გვარი: | ეთერ ჩხეიძე |
| 1.1.3.2. | თანამდებობა/სტატუსი: | გარანტიების სამსახურის უფროსი |
| **1.2.** | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია |
| 1.2.2. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 205162802 |
| 1.2.3. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.3.1. | სახელი და გვარი: | ირაკლი გულედანი |
| 1.2.3.2. | პირადი ნომერი: | 01022003539 |
| 1.2.3.3. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორი |

| | | |
|---|---|---|
| **2.** | **საბანკო გარანტიის** ხელშეკრულების: | |
| 2.1. | ნომერი: | **PE41989-18** |
| 2.2. | დადების თარიღი: | 05 იანვარი 2018 წელი; |

**3.** **კლიენტის** მიერ გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და შრომითი და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

3.1. **კლიენტი** ვალდებულია:

3.1.1. სრულად და ჯეროვნად დაიცვას გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები. მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით თუ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები ან/და სანებართვო თუ სალიცენზიო პირობები;

3.1.2. უზრუნველყოს კომპეტენტური წარმომადგენლის დასწრება **ბანკის** მიერ უშუალოდ ან **მესამე პირის** მეშვეობით წარმოებული **კლიენტის** მონიტორინგის პროცესში;

3.1.3. ნებისმიერი ისეთი გარემოების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ავარიის, ინციდენტის ან უბედური შემთხვევის) დადგომიდან, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს დაცვას, ჯანდაცვას, შრომით და სოციალურ დაცვას ან/და გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევიდან ან ასეთი გარემოებების დადგომის საშიშროების წარმოშობიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის თაობაზე და იმ ზომების შესახებ, რომელსაც იგი იღებს ზემოთ ხსენებული გარემოებების აღმოსაფხვრელად;

3.1.4. შეასრულოს **ბანკის** მიერ შემუშავებული ის მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის დარღვევების, მათ შორის, შესაბამისი ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევების ან ასეთი გარემოებების დადგომის საშიშროების აღმოფხვრა (შემდგომში - **სამოქმედო** გეგმა).

3.2. **ბანკი** უფლებამოსილია:

3.2.1. განახორციელოს **კლიენტის** მიერ გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების, მათ შორის, შესაბამის სფეროში გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვის პირობების, სათანადო შესრულებაზე მონიტორინგი. აღნიშნული მიზნით კი, სხვა ქმედებებთან ერთად, ნებისმიერ დროს, მათ შორის, სამუშაო საათებში, დაუბრკოლებლად განახორციელოს **კლიენტის** ობიექტების დათვალიერება/შესწავლა;

3.2.2. წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში და ფორმით **კლიენტისგან** მოითხოვოს და დაუბრკოლებლად, უსასყიდლოდ მიიღოს ნებისმიერი ზეპირი და წერილობითი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია თუ სხვა საჭირო მასალა თუ ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, რომელიც შეეხება **კლიენტის** განვლილ, მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობას გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის სფეროში;

3.2.3. საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის სფეროში **კლიენტის** საქმიანობის შესწავლის, შესაბამისი რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავების მიზნით კლიენტის ხარჯზე მოიწვიოს ნებისმიერი ექსპერტი თუ სპეციალისტი;

3.2.4. საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, გამოითხოვოს, მიიღოს და შეინახოს **კლიენტის** შესახებ დაცული ინფორმაცია შესაბამისი მარეგულირებელი უწყებებიდან;

3.2.5. დაუწესოს **კლიენტს** სამოქმედო გეგმა.

3.3. **მხარეები** თანხმდებიან სამოქმედო გეგმის შემდეგ ნიმუშზე:

| № | მიზანი | ქმედება | ვადა |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

**მხარეთა ხელმოწერები**

**ბანკი** **კლიენტი**

/ /ი. გულედანი

205162802



კლიენტის ხელმოწერა / ი. გულედანი

**საბანკო გარანტიის ხელშეკრულების**
**დამატებითი პირობები N2 –PE41989-18-001**

ქ. თბილისი 05 იანვარი 2018 წელი

1. **მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| **1.1.** | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | ს.ს. „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.1.2.1. | სახელი და გვარი: | ეთერ ჩხეიძე |
| 1.1.1.2.2. | თანამდებობა/სტატუსი: | გარანტიების სამსახურის უფროსი |
| **1.2.** | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია |
| 1.2.1.1. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 205162802 |
| 1.2.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.1.2.1. | სახელი და გვარი: | ირაკლი გულედანი |
| 1.2.1.2.2. | პირადი ნომერი: | 01022003539 |
| 1.2.1.2.3. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორი |
| **2.** | **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების:** | |
| 2.1. | ნომერი: | PE41988-18; |
| 2.2. | დადების თარიღი: | 05 იანვარი 2018 წელი |

**მხარეები** თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

3. **მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

3.1. **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულება** იდება **საბანკო გარანტიით** მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით **მხარეები** თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

| | | |
|---|---|---|
| 3.1.1. | სახელმწიფო შესყიდვის კოდი: | CPV66110000; |
| 3.1.2. | **საკომისიოს** ჯამური მოცულობა: | არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა; |

3.2. ვინაიდან **კანონმდებლობით** დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, **ბანკი** ვერ უზრუნველყოფს **ხელშეკრულების** შესაბამისად **კლიენტის** მიერ გადასახდელი ნებისმიერი **საკომისიოს** და სხვა სახის გადასახდელების ჩამოჭრას **კლიენტის ანგარიშიდან**, **კლიენტი** თავად უზრუნველყოფს ყველა იმ **საკომისიოს** და სხვა სახის გადასახდელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **ბანკისათვის** გადახდას, რომლებიც გათვალსიწინებულია **ხელშეკრულებით**. გადახდა განხორციელდება **ბანკის** წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ამასთან, **კლიენტი** აძლევს **ბანკს** გამოუთხოვად დავალებას/ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს სახელმწიფო ხაზინას (მოითხოვოს) **კლიენტის** ხაზინაში არსებული ანგარიშ(ებ)იდან **კლიენტის** მიერ დასაფარი ნებისმიერი **საკომისიოს** ან/და სხვა სახის გადასახდელის **ბანკისათვის** გადარიცხვის თაობაზე.

3.3. წინამდებარე **დანართის** 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული **საკომისიოს** ჯამური მოცულობა მოიცას გარანტიის მოქმედების პერიოდში **საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ **საბანკო გარანტიის** გაცემის, **საბანკო გარანტიის** მომსახურების , **საბანკო გარანტიაში** ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის შეტანის და **საბანკო გარანტიის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე **საბანკო გარანტიის** სხვა საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ის/ბანკ(ებ)ის ან/და სადაზღვევო კომპანი(ებ)ის მიერ გაცემული გარანტიით ჩანაცვლების საკომისიო(ებ)ის სავარაუდო ჯამურ მოცულობას და არ მოიცავს **საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ **პირგასამტეხლო/ჯარიმას** რაც შესაძლებელია წარმოიშვას **საბანკო გარანტიით** სარგებლობის პერიოდში.

მხარეთა ხელმოწერები

**ბანკი** **კლიენტი**

ი. გულედანი



კლიენტის ხელმოწერა / ი. გულედანი

# საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დამატებითი პირობები N1 –PE41989-18-001

ქ. თბილისი 09 იანვარი 2018 წელი

**1. მხარეები**

| | | |
|---|---|---|
| **1.1.** | **ბანკი:** | |
| 1.1.1. | სახელწოდება (საფირმო): | ს.ს. „საქართველოს ბანკი"; |
| 1.1.1.1. | საიდენტიფიკაციო ნომერი: | 204378869; |
| 1.1.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.1.1.2.1. | სახელი და გვარი: | ეთერ ჩხეიძე |
| 1.1.1.2.2. | თანამდებობა/სტატუსი: | გარანტიების სამსახურის უფროსი |
| **1.2.** | **კლიენტი:** | |
| 1.2.1. | სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: | სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია |
| 1.2.1.1. | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: | 205162802 |
| 1.2.1.2. | წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): | |
| 1.2.1.2.1. | სახელი და გვარი: | ირაკლი გულედანი |
| 1.2.1.2.2. | პირადი ნომერი: | 01022003539 |
| 1.2.1.2.3. | თანამდებობა/სტატუსი: | დირექტორი |
| **2.** | **საბანკო გარანტიის ხელშეკრულების:** | |
| 2.1. | ნომერი: | PE41989-18; |
| 2.2. | დადების თარიღი: | 05 იანვარი 2018 წელი |

**მხარეები** თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

**3. მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

3.1 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საბანკო გარანტიის** გაცემის საკომისიოს უნდა დაემატოს ერთჯერადად 193 (ასოთხმოცდაცამეტი) ლარი შესაბამისად: **საბანკო გარანტიის** ხელშეკრულების 3.5.1.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3.5.1.1 **საბანკო გარანტიის** გაცემის საკომისიო: 1,020 (ერთი ათას ოცი) ლარი.

**მხარეთა ხელმოწერები**

**ბანკი** **კლიენტი**

/ /

/ი. გულედანი/



კლიენტის ხელმოწერა /ი. გულედანი/